ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა

ქალაქი ხობი 2017 წლის 10 ნოემბერი

15 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე არჩაია - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. მამუკა ბუკია - წევრი;
3. თეა სოსელია - წევრი;
4. ჯონი ფარცვანია - წევრი;
5. იგორ ქირია - წევრი;
6. ნატო ცხადაია - წევრი;
7. დავით ჭოჭუა - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. **2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.**
(მომხსენებელი - დ. ჭოჭუა; საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;).

მომხსენებელმა, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის შესახებ; დავით ჭოჭუას განმარტებით: ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 8157.7 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 5800,0 ათასი ლარი, გრანტები 2010.0 ათასი ლარი (აქედან: 1800.0 ათასი ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერი, 210,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 347.7 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6887.7 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1627.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1475.8 ათასი ლარი, პროცენტი 36.7 ათასი ლარი, სუბსიდიები 3229.6 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 466.1 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 52,1 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 1270,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1066,6 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 1156,6 ათასი ლარი, კლება - 90.0 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი საოდო განისაზღვრა 203,4 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8247,7 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 8157,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 90.0 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8247,7 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6887,7 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1156,6 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 203,4 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე არჩაია - დაინტერესდა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმართულებებით, კერძოდ თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტს.

დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ძირითად მიმართულებას სოციალური სფერო, სკოლამდელი განათლება და ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია წარმოადგენს.

თეა სოსელია: დაინტერესდა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით რა თანხებია გათვალისწინებული სოციალური და განათლების სფეროების დასაფინანსებლად.

დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით განათლების სფეროს დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 1 მილიონ 344 ათას 400 ლარი, ხოლო სოციალური მიმართულებით - 389 900 ლარი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

გადაწყვეტილება მიღებულია:

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე არჩაია